

ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის“ 2020 წლის
სამოქმედო პროგრამის შესრულების

ანგარიში

- ა.ა.ი.პ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც დაფუძნებულია 2007 წლის 31 ივლისს, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის სადასაკრებულოს მიერ.
- ცენტრი განთავსებულია ყოფილი 28-ესაბავშვო ბაღის შენობაში.
- შენობის საერთო ფართი: 1548 კვ.მ
- ეზოს ფართი: 6440 კვ.მ.
- ცენტრის სამოქმედო პროგრამის დაფინანსების ძირითადი წყაროა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“-ს პროგრამებით:

2020 წლის ნოემბრის მონაცემებით სარგებლობს 148 ბენეფიციარი და

60 სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელი.

ამჟამად,

- ABA თერაპიის პროგრამით სარგებლობს 37 ბენეფიციარი.
- ადრეული განვითარების პროგრამით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამა) სარგებლობს 9 ბენეფიციარი.

ცენტრ იმომსახურებას უწევს 0-დან 33 წლამდე შემდეგი შეზღუდვის მქონე ბენეფიციარებს:

- განვითარების ეტაპების დაყოვნება
- გონებრივი განვითარების შეფერხება
- ბავშვთა ცერებრალური დამბლა (ბ.ც.დ)
- დაუნის სინდრომი
- აუტიზმი და აუტისტური სპექტრი

პროგრამები და თერაპიები

ბენეფიციარების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ხორციელდება შემდეგი პროგრამები და თერაპიები:

პროგრამები

- ინდივიდუალური მომსახურების პროგრამა (0- წლიდან 7 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი).
 - ინკლუზიური განათლებისათვის მოსამზადებელი პროგრამა (3- წლიდან 7 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი, ბენეფიციარებს ამზადებს სკოლამდე ასაკში ინკლუზიური განათლების (ბაღი) ჯგუფისთვის).
 - სკოლამდელი ინკლუზიური განათლების (ბაღი) პროგრამა (3 -წლიდან 6- წლამდე ასაკობრივი ჯგუფები).
 - დღის ცენტრის პროგრამა ადგენს და ახორციელებს ბენეფიციარის შესაძლებლობებზე მორგებულ რეაბილიტაცია აბილიტაციის გეგმას. . (7- წლიდან 18 -წლამდე ასაკობრივი ჯგუფი).
 - შრომითი თერაპიის პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების სხვადასხვა შრომით და თერაპიულ აქტივობებში ჩართვას. (18 -წლიდან 33- წლამდე ასაკობრივი ჯგუფი).
 - ინდივიდუალური მომსახურების პროგრამა ითვალისწინებს ფსიქოლოგიურ და ლოგოპედიურ მომსახურებას. (7 -წლიდან 18 -წლამდე ასაკობრივი ჯგუფი).
 - ქცევის გამოყენებითი ანალიზის(ABA თერაპია) პროგრამა (2- წლიდან 15 წლის ჩათვლით ასაკობრივი ჯგუფი).
- 2019 წლის აპრილიდან ცენტრში ხორციელდება ქცევის გამოყენებით იანალიზის(ABA თერაპია) პროგრამა , რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებს ემსახურებისან შესაბამისი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე ქცევისა და მეტყველების თერაპევტები. აღნიშნულ პროგრამას სუპერვიზიას უწევს „ორგანიზაცია საქართველოს ბავშვები“ . აბა თერაპიის პროგრამაში ბენეფიციარის მიღება ხდება ქ. რუსთვის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის საფუძველზე. ან ინდივიდუალური ანგარიშწორების შემთხვევაში ორგანიზაციის ანგარიშზე ჩარიცხული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.
- 2020 წლის 3 თებერვლიდან ცვენტრში ამოქმედა ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე. ადრეული განვითარების პროგრამა მოიცავს დაბადებიდან სამ წლამდე და საჭიროების შემთხვევაში შვიდ წლამდე ასაკის განვითარების დარღვევის ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების შეფასებას, მომსახურების დაგეგმვასა და მიწოდებას. პროგრამას სუპერვიზიას უწევს ორგანიზაცია „ პირველი ნაბიჯი“.
- ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამაში ბენეფიციართა მიღება ხორციელდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის ვაუჩერის ან ინდივიდუალური ანგარიშწორების შემთხვევაში ორგანიზაციის ანგარიშზე ჩარიცხული გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

თერაპიები

- მუსიკის თერაპია
- ხატვის თერაპია
- თიხის თერაპია
- რელიგიის ისტორია
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები
- ხელგარჯილობა

ცენტრში ასევე ფუნქციონირებს სამედიცინო და ფიზიკური რეაბილიტაციისკაბინეტი.

თვითმმართველი ქალაქ რუსთავის მერიის დახმარებით და დაფინანსებით შშმ ცენტრში, სკოლამდელი ასაკის ინკლუზიური განათლების ჯგუფში ძიძის დამხმარედ მზარეულის და მცხოვრების თანაშემწედ დასაქმებული არიან ცენტრის ყოფილი ბენეფიციარები.

ცენტრში ასევე ხორციელდება წინა წლებში გერმანელი პარტნიორების (აღმოსავლეთ ევროპის საპროექტო ჯგუფი) დახმარებით დანერგილი საცხოვრის (ჩართულია 2 ბენეფიციარი), სასადილოს (ჩართულია 2 ბენეფიციარი) და სამრეცხაოს (ჩართულია 2 ბენეფიციარი), პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ბენეფიციარებს შრომითი უნარ-ჩვევების შეძენასა და განვითარებაში.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრში 2020 წელს განხორციელებული ღონისძიებები

- 2020 წლის თებერვლიდან ცენტრში ამოქმედდა ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამა, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე.
- 2020 წლის თებერვლში დაიწყო გერმანია-შვეიცარიის აღმოსავლეთ ევროპის საპროექტო ჯგუფის დაფინანსებით ცენტრის სველი წერტილების რეაბილიტაცია.
- 2020 წლის პანდემიის პირობებში ა.ა.ი.პ. ქალაქ რუსთავის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრმა“ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა რომლის მიზანი იყო **შშმ პირთა ცენტრის ბენეფიციარებისთვის სპეციალისტების მიერ სერვისების დისტანციურად მიწოდება:**

აქტივობები:

- ცენტრში მომუშავე სპეციალისტების საკონსულტაციო დახურული ჯგუფების ფორმირება(ფსიქოლოგები, ლოგოპედები, სპეციალური მასწავლებლები, მეტყველების და ქცევი თერაპევტები);
- ცენტრის ბენეფიციარების და მათი ოჯახების ინფორმირება პანდემიის დროს ონლაინ მომსახურების მიწოდების მნიშვნელობის და საჭიროების შესახებ;
- სამიზნე ჯგუფების საჭიროებების და მოთხოვნილებების კვლევა.
- ონლაინ ჩართვებისთვის საკომუნიკაციო პლატფორმის(Facebook -ი და mesenjer-ი) შერჩევა/შეთანხმება;

- ბენეფიციარების და მათი ოჯახების გადანაწილება სპეციალისტებისთვის პროგრამების(ადრეული განვითარების, სკოლამდელი ინკლუზიური განათლების, ინდივიდუალური მომსახურების, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის, დღის ცენტრის პროგრამის, შრომითი თერაპიის და ABA თერაპიის) და რაოდენობის გათვალისწინებით;
- სპეციალისტების მიერ თვეების მიხედვით ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შემუშავება თითოეული ბენეფიციარის შესაძლებლობების, ინტერესების, რესურსებზე წვდომის გათვალისწინებით;
- სამუშაოს მონიტორინგის ამსახველი ინდივიდუალური დოკუმენტის შექმნა ე.წ. ინდივიდუალური დღიურის ფურცელი თითოეულ ბავშვზე, რომელიც ასახავს:დისტანციური მომსახურების ჯერადობას, სამუშაო სფეროს, აქტივობების და რეკომენდაციების ნაწილს,შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს და თარიღებს, რომელ რიცხვში განხორციელდა ონლაინ თუ სატელეფონო ჩართვა ბენეფიციართან;
- ყოველი თვის ბოლოს მოკლე ანგარიშის წერილობითი სახით წარმოდგენა შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- სპეციალისტების საკონსულტაციო ჯგუფებში შეხვედრა საჭიროებიდან გამომდინარე;
- მშობლებთან ინდივიდუალური ონლაინ და სატელეფონო კონსულტაციების წარმოება;
- ცენტრის ადმინისტრაციის მიერ სატელეფონო მონიტორინგი(შემთხვევითად არჩეული მშობლების გამოკითხვა და კმაყოფილების განსაზღვრა);

➤ 2020 წლის 15 ივნისიდან ჯანდაცვის სამინისტროს და ქ. რუსთვის მერიის რეკომენდაციის საფუძველზე ცენტრში განახლდა ინდივიდუალური მომსახურების პროგრამები: (ABA თერაპია , ადრეული განვითარების , ინდივიდუალური მომსახურების პროგრამა).

ინფრასტრუქტურული პროგრამები:

- ✓ სველი წერტილების მოწესრიგება (გერმანიის საელჩო)
- ✓ თიხის სახელოსნოს მოწყობა (გერმანიის საელჩო)
- ✓ ინკლუზიური ბაღის ჯგუფის რემონტი (აღმოსავლეთ ევროპის საპროექტო ჯგუფი)
- ✓ ეზოს შემოღობვა და სათამაშო მოედნის მოწყობა (საზოგადოება „რუსთაველები“ და ქ.რუსთავის მერია)
- ✓ საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება (საზოგადოება „რუსთაველები“ და ქ.რუსთავის მერია)
- ✓ ცენტრალური გათბობის სისტემის მოწესრიგება (ქ რუსთავის მერია).
- ✓ პანდუსის მოწყობა (ქველმოქმედება - მოქალაქე შალვა შალვაშვილი)
- ✓ 2020 წლის შემოდგომაზე ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის და ამერიკის საელჩოს მიერ, ცენტრის ტერიტორიაზე „აუტიზმისა და აუტისტური სპექტრის მქონე პირების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ცალკე ფლიგელის მშენებლობა.

დასაქმების პროგრამა:

- ✓ ბენეფიციარის დასაქმება მცხოვრებლის დამხმარედ ქ.რუსთავის მერის ხელშეწყობით
- ✓ ძირითადი დაფინანსება - გეგმა 2020 წლის 502 100 ლ; ფაქტი 01.11.2020 მდგომარეობით - 376 700 ლ.
- ✓ სველი წერტილების მოწესრიგება (გერმანიის საელჩო) – გეგმა 13 400 ლ.
- ✓ თიხის სახელოსნოს მოწყობა (გერმანიის საელჩო) - გეგმა 18 900 ლ.
- ✓ ინკლუზიური ბაღის ჯგუფების რემონტი (აღმოსავლეთ ევროპის საპროექტო ჯგუფი) გეგმა 29 200 ლ; ფაქტი 01.11.2020 მდგომარეობით - 12 400 ლ.
- ✓ ABA თერაპიის პროგრამა - გეგმა 40 000 ლ; ფაქტი 01.11.2020 მდგომარეობით 22 970 ლ.
- ✓ ადრეული განვითარების პროგრამა - გეგმა 8 500 ლ; ფაქტი 01.11.2020 მდგომარეობით 3 900 ლ.